№ 489. კვირა, 22 მარტი.

1896-1898

კვირა, 22 მარტი, № 489.

რედაქცია:
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართეენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გამავ. საზოგადოების“ წიგნის მაღაზია.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს

რისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ.
მეოთხეზე 5 კაპ.

Редакція
„Цнобисъ Пурцели“
Тифлисъ, Фреилинская №13
Телефонъ № 363.

ქართული თეატრი
ოთხშაბათს, 25 მარტს
ქართული თეატრის რეჟისორის თანაშემწე ა. თამაზიშვილის სასარგებლოდ
ქართული დრამატიული დასის არტისტები
ქნ. ბ. ა. ავალიშვილისა და ვლ. ალექსი მესხიშვილის მონაწილეობით გამართავენ წარმოდგენას
წარმოდგენილი იქნება
ურიელ აკოსტა
ტრაგედია 5 მოქმ. თხზ. გუცკოსი, თარგ. ი. ბაქრაძისა
მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. აგალიშვილისა, გამყრელიძისა, კუნდელი; ბ.ბ. ალექსი მესხიშვილი, გედევანოვი, დადიანი, კანდელაკი, წერეთელი, თამაზიშვილი, ჯაფარიძე და სხვანი.
დასაწყისი 8 საათზე.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
რეჟისორი ვლ. ალექსი-მესხიშვილი.
ბილეთები დღეიდანვე ისყიდება თეატრის კასსაში.

კვირას, 22 მარტს, საღამოს 8 საათზე, ტფილისის სათავად აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია
საზოგადო კრება
წიგნების გამომცემელ ამხანაგობის
„ახალი მკითხველისა“
კრების საგანია: განიხილოს 1895 წ. 23 დეკემბერს არჩეულ კომისიების მუშაობის შედეგები:
1, მოხსენება ამხანაგობის შარშანდელ მოქმედების შესახებ.
2, პროექტი ამხანაგობის ახალ ორგანიზაციისა.
კრებაზე დასწრება შეუძლიანთ ყველა მსურველთ. (2—2)

ჩერქეზული ტანისამოსის მკერვალი
ნოშრევან ნიკოლ. მერკვილაძე
რომელიც იმყოფებოდა ლორ.-მელიქოვის ქ., ზუბალოვის სახლ.
გადავიდა
მიხეილის ქუჩაზე, ჰონიევის სახლში № 32, სასტუმრო „პალმირას“ გვერდით. (5—3)

იაფობა — გაზრობა
ლორთქიფანიძეს
სავაჭრო და მაღაზია
თამამშევის ქარვასლაში № 3 და 4, შტაბის მხრივ, სასტ. «კავკაზ»-ის პირდაპირ.
მაქვს პატივი ვაუწყო პატივცემულ საზოგადოებას, რომ დღეიდან ჩემს სავაჭროში დავნიშნე
იაფობა-ვაჭრობა
იყიდება ყოველგვარი საფარ-თლო, საფარჩეულო და საქონელი ● აბრეშუმე-ული, შა-ლეული ● ტილოეუ-ლი, ბამ-ბეული დ სხ.
= ფასები ყველაფერზე ძლიერ დაკლებულია =
ფასები ჩვეულებრივსა და ქარხნების ფასებზე 20 და 30 პროცენ. ნაკლებაა!
ვსთხოვთ ყველას მობრძანდნენ და თვითონ დარწმუნდნენ ჩვენის საქონლის იაფობაში, თამამშევის ქარვ. № 3 და 4, შტაბის პირდაპირ.

Магазинъ Лордкипанидзе
Каравань-сарай Тамамшева, № 3 и 4, противъ Гл. штаба
НАЗНАЧЕНА БОЛЬШАЯ РАСПРОДАЖА
уступка отъ 20 до 30%% съ фабричныхъ цѣнъ
(30—19) პატივისცემით ლორთქიფანიძე.

ქუდების და შლაპების
სახელოსნო და მაღაზია
დ. გვახარიასი
ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა, მუხრან-ბატონის სახლი
დიდძალი საქონელი სააღდგომოდ ქუდები და შლიაპები ვაჟებისა, ქალებისა და ყმაწვილებისა
იაფობა!
გადაკეთება ძველებისა ახლებზე და ნახმარის შეკეთება
ШЛЯПНАЯ МАСТЕРСКАЯ
Д. Гвахарія
къ ПАСХѢ большой выборъ ДЕШЕВИЗНА
(13—4) шляпъ женскихъ, мужскихъ и дѣтскихъ.
Тифлисъ, Лорисъ-Меликовская ул. д. кн. Багратіонъ-Мухранскаго.

აურებელი რიცხვი
საკერავი მაშინებისა
ყოველგვარი სისტემისა და ყოველგვარი ხარისხისა, როგორც საშინაოდ - ოჯახში სახმარებლად, აგრეთვე სხვა-და-სხვა სახელოსნოებისათვის.
პირველ ხარისხოვანი და საგანგებო
ველოსიპედები
(თვით-მავალა)
ინგლისის, საფრანგეთის და გერმანეთის ქარხნებიდან
ყველაფერი იყიდება შეღავათიანის ფასით
ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილად
ყველაფერი, რაც-კი ამ სავაჭრო სახლიდან გაიყიდება, მკვიდრი დ მაგარია, რაზედაც სრული თავდებობაა

ცენტრალი საწყობი
ს. პ. პავლოვისა
და ამხ.
ტფილისში
ლორის-მელიქოვის ქუჩა № 6.
ტელეფონი 349

Телефонъ 349
Торговый домъ
С. П. Павлова и К-о
Тифлисъ, Лор.-Меликовская ул. № 6, противъ Правос. Семинаріи
Богатѣйшій выборъ
Швейныхъ машинъ
и
ВЕЛОСИПЕДОВЪ
(100—12)

დაისტამბა და ისყიდება ყველგან
ი. იმედაშვილის გამოცემ. № 8
რა არის ხარკი
და ან
რისთვისა ჰკრევენ
თარგმანი ი. გ—ისა
დამატება
სასოფლო წესდების ზოგიერთი მუხლები
ფასი ერთი შაური
ვინც გამომცემლისაგან იყიდის (ეგზ. ბაღის პირდაპირ) ოცს ან მეტს, მანეთზე 30% დაეთმობა. მსურველთ ფას-დადებითაც გაეგზავნებათ.
ადრესი. Тифлисъ, Георг. ул., книжная торговля І. Э. Имедашвили. (10—1)

= მგზავრთა საყურადღებოდ =
მარტის 5-დან გაიღება
ახლად გაწყობილი
სლავიანის სასტუმრო
შუაბაზრის მახლობლად, ორბელიანის უბნის ბოლოს, სადაც წინად «მუსიკალური საზოგადოება» იყო.

მშვენივრად გაწყობილი და მორთული ოთახები
მაღალი, მშრალი, სინათლიანი და მყუდრო.
ფასი: დღიურად 50 კ. 5 მანათამდე
თვიურად 10 მ. 50 მანათამდე
СЛАВЯНСКАЯ ГОСТИНИЦА
домъ Армянской семинаріи, на Салд. базарѣ.
Чистота и дешевизна.
პატივის-ცემით დიმიტრი ხუნდაძე
(30—10)

მთავრობისაგან ნება დართული
პანსიონი და სასწავლებელი
მასწავლებელი ქალის
ნ. დიდებულიძისა
ტფილისი, მიხეილის ქუჩა, ხერხეულიძის სახ. № 146.
ამზადებენ ბავშვებს მოსამზადებლად საშუალო სასწავლებლებში.
ბავშვები მიიღება სასწავლებლად და საცხოვრებლადაც.
მიიღება აგრეთვე საქალაქო გიმნ. მოწაფეები სადგომად და საცხოვრებლად.
პანსიონში ასწავლიან მუსიკას (პიანოზე და ვიოლონი)
მოლაპარაკება პირობებზე დილის 10 საათ. 3 საათამდე.

пансіонъ и училище
Учительницы
Н. ДИДЕБУЛИДЗЕ
Тифлисъ, Михайловок. ул. № 146.
Принимаются дѣти женскаго пола приходящ. и полнымъ пансіонерк. Квартиры съ полнымъ содержачніемъ для учениць гимназіи. Обученіе музыкѣ
(150—122)

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ბ. თოფურიასი
ქუთაისში.
სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან:
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ბ. თოფურია.
საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს ფ. კ. გერრატი.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოგანი.
თვალების ავადმყოფობას—ი. კ. ვარშავსკი.
ამბულატორიაში არის კაბინეტი, საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.
სამკურნალოს დირექტორი ს. ბ. თოფურია.
Лѣчебница С. В. Топурія въ Кутаисѣ.

დეპეშები

გაზეთ „ცნობის ფურცლისა“

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

18 მარტი

ხარკოვი. საშინელი დრამა მოხდა პუტივლსკის მაზრის სოფელ სტეფანოვკაში: გლეხმა თევდორე ნაუმენკომ ცულით დასჩეხა სამი ყმაწვილი, 10, 6 და 2 წლისა, ცოლი და მეზობელი რაიდენკო და მძიმედ დასჭრა თავისის ცოლის და პონდარენკოვისა. ბოროტ-მოქმედების ყოველი გარემოება ამტკიცებს, რომ ნაუმენკო ჭკუათა არა მყოფელი უნდა იყოს. მას ხატის წინ აუნთია სამი სანთელი, უბრძანებია შვილებისათვის, ტანთ გაიხადეთო, თითონაც გაშიშვლებულა და მოუკლავს მლოცველი ბავშვები, აკვანში მწოლიარე პაწია ქალიშვილი და ცოლი, ცოლის და და მეზობელი, რომელნიც ხმაურობაზე მოცვივნულან.

პარიზი. ჰანოტომ შეიტანა პალატაში კონვენცია საბერძნეთის სესხის უზრუნველ-ყოფის შესახებ, რომელზედაც ხელი უწერიათ მონოსონს, თავად ურუსოვს, დელიანისს და ჰანოტოს.

საფრანგეთის ჟურნალ-გაზეთობა დიდის სიხარულით ეგებება რუსეთ-ჩინეთის მორიგებას.

სტამბოლი. პორტა თხოულობს, რომ უსკიუბელი ბოლგარიის ეპისკოპოსი დათხოვნილ იქმნასო. საექსარხოსომ უარ-ჰყო ეს წინადადება, რადგან არავითარი საფუძველი არა აქვსო

ვენა. მთავრობას განზრახვა აქვს დელეგაციაში წინადადება შეიტანეს იმის შესახებ, რომ 45 მილიონი გულდენი იქმნას გადადებული სამხედრო გემების შესაიარაღებლად. ეს ხარჯი რამდენსამე წელიწადზე იქმნება განაწილებული.

ვაშინგტონი. მაკ-კინლეი დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ დაუყონებლივ უნდა მოისპოს ბრძოლა კუბას კუნძულზეო. თუ ისპანიამ არ შეიწყნარა ეს მოთხოვნილება, მაკ-კინლეი იმ წამსვე საქმეს კონგრესში წარადგენს განსახილველად.

ლონდონი. ახალშენების მინისტრის ამხანაგმა განაცხადა, რომ ვერავინ ვერ დაუშლის რუსეთს მანჯურიის დაჭერასაო. ეს იმდენად ნაკლებად არის საწყინო ინგლისისათვის, როგორც რუსეთისათვის არ იქნებოდა საწყინო, რომ არ დაეშალა ინგლისისათვის ხართუმის დაჭერა.

იოკაჰამა. ინგლისის სამი გემი გავიდა ჩემულპოდგან, ხოლო არავინ იცის საით წავიდა.

ჰონგკონგი. ინგლისის ორი სამხედრო ხომალდი წავიდა ჩრდილოეთისაკენ. ფლაგმონის გემი „ცენტურიონი“ ნაღმიან გემებთან ერთად ხუთშაბათს მიდის.

პეტერბურგი. შთამომავლობით საპატიო მოქალაქე ლელიონოვი არჩევანის თანახმად დანიშნულ იქმნა პეტერბურგის ქალაქის მოურავად.

პარიზი. საკასსაციო სასამართლო შეუდგა ზოლას საპელაციო საჩივრის განხილვას ნაფიც მსაჯულთა განაჩენის წინაამდეგ. ბრალმდებელმა უარ-ჰყო საჩივრის ყოველივე საბუთი. სასამართლომ განაჩენის გამოცხადება შაბათამდის გადასდო.

ბერლინი. „ფოსსის გაზეთი“ სწერს: „რუსეთი არამც თუ ჩინეთში მიჩნეული ხელ-მძღვანელ სახელმწიფოდ, არამედ ავღანისტანს ინდოეთში და ყველგან სადაც კი აქნამდის საეჭვო იყო, რომელი უფრო ძლიერია რუსეთი თუ ინგლისი, ეხლა დარწმუნდებიან, რომ რუსეთის იმპერია ზევით იწევს, ხოლო ინგლისი ქვევით.

პარიზი. პალატის სამხედრო კომისიამ მოისმინა ბილიოს აზრი იმ პროექტის შესახებ, რომლის ძალითაც სამხედრო სამსახური ორ წლამდის უნდა შემცირებულ იქმნას. ბილიო პროექტის წინააღმდეგი იყო. კომისიამ ერთ-ხმად უარ-ჰყო პროექტი.

ათინა. კარდიცისა და გეორგისის საქმის გარჩევა დღეს დაიწყო აუარებელის ხალხის თანადასწრებით. კარდიცის მღელვარება არ ეტყობა; პლექისაგან საშინლად ფერმკრთალია. მეფის ასულის მარიამის ჩვენება წაიკითხეს. მოწმეთ გადასცეს უკვე ცნობილი ფაქტები. ქალაქის საბჭოში ერთმა მოსამსახურეთაგანმა წინა დღეს იპოვნა განჯინაში, რომლითაც კარდიცი სარგებლობდა, დინამიტით გატენილი ყუმბარა. კარდიცისა და გეორგისს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს.

პეტერბურგი. გამოცხადებულია, რომ ქალაქები ჯედდა (არაბეთში) და ჰონკონგი (ჩინეთში) შავის ჭირის მხრივ საშიშრად არის აღიარებული.

* * *

ახალი ამბავი

⁂ **„ახალი მკითხველის“ საზოგადო კრება.** დღეს საღამოს 8 საათზე, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია წიგნების გამომცემელ ამხანაგობის „ახალი მკითხველის“ საზოგადო კრება, რომელმაც უნდა განიხილოს: 1) მოხსენება ამხანაგობის შარშანდელი მოქმედების შესახებ და 2) პროექტი ამხანაგობის ახალი ორგინიზაციისა.

დიდი ხანია „ახ. მკ“-ის წევრნი მოუთმენლად მოელიან ამ კრებას და აღნიშნულ საგნების გამორკვევას. ასეთი მათი მოუთმენლობა ამ საგნის შესახებ ადვილი გასაგებია. რამდენადაც ვიცით, „ახალმა მკითხველმა“ თავისი გამოცემების შემწეობით შესამჩნევი სიმპატია დაიმსახურა თავის ხელის-მომწერთაგან, რომელთათვის ამის გამო ფრიად სასურველი შეიქმნა ამხანაგობის დღეგრძელი სიცოცხლე; მაგრამ, სამწუხაროდ, ამხანაგობამ, როგორც მოგეხსენებათ, ძლივს ერთ წელიწადს იბოგინა და თვითეულ თავის წევრს 3 მანეთში (წლიურ საწევრო ფულში) მხოლოდ რაღაც ხუთიოდე წიგნი მიაწოდა (1 მ. და 10 კ. ღირებული). ამ გარემოებამ ამხანაგობის წევრნი ორნაირად დააინტერესა: ერთი მხრით, მათ მეტად უდროოდ მოესპოთ სიამოვნება „ახ. მკ.“-ის ახალ-ახალი გამოცემების მიღებისა და წაკითხვისა; მეორე მხრით, ეჭვი შეეპარათ, ვაი თუ უსარგებლოდ დაიკარგას ჩვენი საწევრო ფულის უმეტესი ნაწილიო. ყოველივე ამის გამო ფრიად სასურველია, საზოგადო კრებამ მომავალ კვირას სავსებით გამოარკვიოს თავისი საგანი: საფუძვლიანად გამოიკვლიოს ამხანაგობის დაცემის მიზეზები, შეიმუშაოს შარშანდელზე ბევრად უფრო მტკიცე საფუძველი, რომელზედაც უნდა დამყარდეს „ახალი მკითხველის“ მომავალი მოქმედება, და გამოსძებნოს საიმედო საშუალება ამხანაგობის შარშანდელ წევრთა ზემო აღნიშნულ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, რათა ამხანაგობამ კვლავ სავსებით აღადგინოს საზოგადოების ნდობა. იმედია, კრებას ბლომად დაესწრებიან ამხანაგობის გულშემატკივარნი (კრებაზე დასწრება შეუძლიათ ყველა მსურველთ), და ამასთანავე სასურველია, მარტო ამ ერთი კრების შემწეობითაც საბოლოოდ გადაწყდეს კითხვა და საქმე არ იქმნეს ცუდ-უბრალო „ლაპარაკობანაში“ დროს დაკარგვა და ამხანაგობის მოქმედების განახლების დაგვიანება.

სევ—ლი

წარმომადგენლობა სათავად-აზნაურო ბანკში. პეტერბურგიდან დეპეშით იუწყებიან, რომ მთავრობას გადაუწყვეტია შემოღებულ იქნეს წარმომადგენლობა ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკში; წარმომადგენელთა ნახევრობა უნდა შესდგებოდეს დამფუძნებელ წევრთაგან, ხოლო მეორე ნახევრობა—მსესხებელთაგან, რომელთა შორის, რა თქმა უნდა, მრავალი თავად-აზნაური იქნება.

⁂ **ტფილისის სამოსამართლო პალატის პროკურორი.** დ. ს. ს. ს. ვ. ვასილიევი 19 მარტს პეტერბურგიდან ტფილისს გამოემგზავრა.

⁂ **ახალი დანიშნულება.** მთავარ-მართებლის კანცელარიის განყოფილების უფროსი პოლკოვნიკი გრებენშჩიკოვი დანიშნულია ჩერნომორსკი გუბერნიის ვიცე-გუბერნატორად.

⁂ **კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი** ტ. ს. კ. პ. იანოვსკი მოვა ტფილისში ორშაბათს 23 მარტს.

⁂ **ხელოსნების დეპუტატთა კრება.** დღეს, ხელოსანთა გამგეობაში მოხდება ხელოსანთა მოურავის-მიერ საგანგებოდ მოწვეულ დეპუტატთა საზოგადო კრება განჩენის დასადგენად იმის შესახებ, თუ რამდენი გადასახადი უნდა დაედვას ხელოსნებს და რამდენი ფული უნდა დაიხარჯოს ხელოსანთა საზოგადო გამგეობის შესანახად 1898 წ.

⁂ **განსაკუთრებული გადასახადი სახლის პატრონებზე.** ქალაქის გამგეობამ დაადგინა მიენდოს სავაჭრო-სამეურნეო პოლიციას იმ სახლის პატრონთაგან განსაკუთრებულ გადასახადის აკრეფა, რომელთაც დაჭერილი აქვთ შენობის მასალით ქუჩებისა და მოედნების ნაწილი.

⁂ **სამართალში მიცემა.** ტფილისის სამოსამართლო პალატის პროკურორმა დასკვნა წარუდგინა კავკასიის [illegible] მთავრობას სოხუმის ოლქის კოდორის განყოფილების უფროსად ნამყოფის შტ.-კაპ. ჩეჩელევის საქმის თაობაზე. 7 ამა მარტს მთავარ-მართებლის საბჭო დაეთანხმა პროკურორის დასკვნას და დაადგინა ჩეჩელოვი მიცემულ იქნეს სამართალში სამსახურში დანაშაულის ჩადენისათვის.

⁂ **ახალი დანიშნულება.** ტფილისის პოლკის შტაბს-კაპ. სმელნიცკი, როგორც ისმის, დანიშნულია სოხუმის ოლქის უფროსის უმცროს თანაშემწედ, კაპ. ბოიკოს ადგილზე, რომელიც ავადმყოფობის გამო სტოვებს ამ ადგილს.

⁂ **ახალი თანამდებობა.** როგორც იუწყებიან შეწყნარებულია შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ზუგდიდის მაზრაში დაარსებულ იქნეს ბოქაულის თანამდებობა.

⁂ **გუბერნატორის გამგზავრება გორს.** ტფილისის გუბერნატორი დ. ს. ს. ბიკოვი გაემგზავრა 20 მარტს ქ. გორში მდ. ლიახვის გასამაგრებელ მუშაობის დასახედავად.

⁂ **ახალი დანიშნულება.** მეორე კლასიკური გიმნაზიის ინსპექტორად დანიშნულია ამ გიმნაზიის მასწავლებელი გამყრელიძე

⁂ **ნოტარიუსების შემოსავალი.** როგორც ოფიციალურ ანგარიშიდან სჩანს, ტფილისის ხუთ უმცროს ნოტარიუსს 1897 წლის განმავლობაში აუღიათ სასყიდლად 33 ათასი მან. სანოტარიუსო საქმეთა წარმოებისათვის.

⁂ **მასწავლებელთა კრება საქარის საჩქოლეში.** კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის კ. პ. იანოვსკისა და მიწად-მოქმედების მინისტრის რწმუნებულის ი. ს. მედვედევის შეთანხმებით, ყვირილაში, საქარის საჩქოლეში, გაიმართება სკოლების მასწავლებელთა კრება. 10 დღის განმავლობაში მასწავლებლები მოისმენენ ამერიკულ ვაზის დამყნობის კურსს საჩქოლის მმართველის ბ. სტაროსელსკისა და აგრონომის ლუპანოვის ხელმძღვანელობით, რათა შემდეგ ეს ცნობები ამერიკულ ვაზის კულტურის შესახებ გავრცელებულ იქნეს მცხოვრებთა შორის; ამ უკანასკნელ მიზნით სოფლის სკოლებთან გაიმართება პატარა საცდელი საჩქოლეები. ამასთანავე მსმენელები გაიცნობენ ვაზის სოკოს, რომელიც ხშირია კავკასიაში, და აგრეთვე მისი წამლობის წეს-რიგს. კრება დანიშნულია 23 მარტისთვის. მზრუნველის განკარგულებით, თვითეულ სოფლის მასწავლებელს მიეცემა მთელი კურსის მოსმენის განმავლობაში (10 დღე) თავის სარჩენად 1 მან. დღეში. ასეთივე კურსები გაიმართება საქარის საჩქოლეში მაისშიაც, ტფილისის გუბერნიის სოფლის მასწავლებელთათვის.

⁂ **თავშესაფარის კურთხევა.** 23 მარტს, ნაშუადღევის 2 საა. აკურთხებენ ქალაქის მე-2 ღამე-სათევ თავშესაფარს, რომელიც იმყოფება დიდუბეში, ელისაბედის ქუჩაზე, მუშტაიდის უკან, პოლიაკის სახლში.

⁂ **ქურდების დასჯა.** 19 მარტს, ქ. გორში ტფილისის ოლქის სასამართლოს განყოფილებამ განიხილა ათი ოსის საქმე, რომელთაც ბრალდებოდათ ერთად მოქმედება საქურდავად. ისინი მოქმედებდნენ სურამსა და მის ახლო-მახლო სოფლებში; მათ მეთაურობდა უფლებაახდილი ვანო კულუმბეგაშვილი. ჩაიდინეს უმეტესად წვრილ-წვრილი ქურდობა. ოლქის სასამართლომ მიუსაჯა: ვანო კულუმბეგაშვილს, ვასო გოგოლაშვილს, ნიკო თვაურს და ჩიგირაშვილს კატორგა და ძმებს თედო და გარსევან კულუმბეგაშვილებს, სატუსაღო განყოფილება; დანარჩენი ბრალდებულნი გამართლებულ იქმნენ.

⁂ **ნავთლუღელების შუამდგომლობა.** როგორც ისმის, ნავთლუღელებს შუამდგომლობა აღუძრავთ იმის შესახებ, რომ ქალაქის გამგეობამ შემოიღოს ნავთლუღში, ტფილისის სხვა ნაწილების მზგავსად, ზედა-მხედველობა გასასყიდ ნაწარმოებზე, განათებაზე და ქუჩების წესიერ მოვლაზე; გაიყვანოს ქალაქის მოსამხრობად ცხენის რკინის გზა და წესიერად დააფასოს მათი სახლები, ან და სულ განთავისუფლოს მათი ქონება გადასახადებისაგან, რადგანაც ისინი მოკლებულნი არიან იმ უპირატესობას, რომლითაც სარგებლობენ ტფილისის სხვა ნაწილთა მცხოვრებნი.

⁂ **ნავთის წარმოების საქმე ბაქოში.** გაზ. „კავკაზს“ სწერენ ბაქოდან, რომ იქ ამ ბოლო დროს ინგლისელი კაპიტალისტები სულ მდარე წარმოებასაც აღარ სტოვებენ უყიდველად, ოღონდ-კი მიჰყიდეთ. 12 მარტს, იქ მისულა პეტერბურგის ამერიკელ ელჩად ნამყოფის ცოლი ორი ინჟენრით და 50 მილიონით და მოლაპარაკება გაუმართავს კასპის ამხანაგობის ნავთის წარმოების ყიდვის შესახებ. ამ ჟამად ბაქოში ნავთის წარმოების ყიდვის მსურველთა რიცხვი 30-მდე ადის. თუმცა მწარმოებლები ფასებს ხელს უშერენ, მაგრამ ინგლისელები არ ზოგავენ ფულს და კიდეც ახწევენ თავიანთ მიზანს.

⁂ **გადასახადი შავი ქვის გადატანაზე.** როგორც სწერენ მალე გადასწყდება კითხვა ქიათურის რკინის გზით შავი ქვის გადატანაზე გადასახადის შემცირების შესახებ. ამიერ-კავკასიის რკინის გზის მმართველობას, რომელსაც მინდობილი აქვს ამ კითხვის გადაწყვეტა, განზრახვა ჰქონია 7 კაპიკზე ჩამოსწიოს ერთი ფუთის გადასახადი მთელ შტოზე გადატანისათვის; ამ გადასახადში შედის დამატებითი გადასახადიც. შავი ქვის მწარმოებელთ კი სურდათ 3 კაპიკზე დაწეულიყო ეს გადასახადი.

⁂ **ჯიბგირის ოინები.** 20 მარტს იარმუკაში ერთი ხევსური ერბოს დაატარებდა გასასყიდად. მას მიეპარა ერთი ჯიბგირი და უნდოდა მისთვის ჯიბიდან ფული ამოერთვა. ხევსურმა შეჰნიშნა მას ეს განზრახვა, დააცალა და როდესაც ჯიბგირის ხელი თავისს ჯიბეში ნახა ჩაყოფილი, დაუჭირა და შიგ მოუმწყვდია. შემდეგ ამ სახითვე მიიყვანა იგი ქუჩის დარაჯთან და გარდასცა. პოლიციელმა რა გაიგო საქმის გარემოება, წაიყვანა ჯიბგირი პოლიციისაკენ, მაგრამ სამწუხაროდ, ნა-

ხევარ საათს უკან სწორედ იგივე ჯიბგირი კელავ იარმუკაში დანავარდობდა და თან ტრაბახობდა, ერთი შაურის არაყმა განმათავისუფლაო.

⁂ **შეცდომის გასწორება.** „ცნ. ფურცლის“ 487 №-ში შემდეგი შეცდომა არის: სამოქალაქო «აფთიაქი» აკეთებს 116 ნომერს რეცეპტს წლიწადშიო; უნდა იყოს 116 ათას ნომერს წელიწადში და სამი აფთეკის თანაშემწენი ასრულებენ ამ საქმეს, რომელთაც ძალიან მეტი შრომა ადევთ იმ პატარა ჯამაგირით, რომელიც ეხლა აქვთ და სხვ.

ან. ჩხეიძე

⁂ **შეცდომის გასწორება.** „ცნ. ფ.“-ის გუშინდელ ფელეტონში მეორე თავი: «ცეკვა-თამაში»—იწყება სიტყვით „ცეკვა“,—უნდა იწყებოდეს სიტყვით «ხელოვნება».

⁂ **ქუთაისი.** აკაკის ავადმყოფობა. ეს რამდენიმე დღეა, რაც ჩვენი საყვარელი პოეტი აკაკი ქუთაისში თოფურიას საავადმყოფოში წევს, კუჭის ტკივილით შეწუხებული. 16 ამ თვეს ძლიერ ავად იყო, მაგრამ მეორე დღეს ცოტა შვება მიეცა.

აკაკის ავადმყოფობის გარემოება ასე იყო. პოეტი ქუთაისში მიემგზავრებოდა და გორში შეჩერდა; იქ უეცრად კუჭი ასტკივდა და გულის ფრიალი აუტყდა. მეორე დღეს, რაკი ცოტა დამშვიდდა, განაგრძო მგზავრობა ქუთაისისაკენ. გზაში ტკივილმა უმატა და ქუთაისში ჩასვლისთანავე თოფურიას საავადმყოფოს მიჰმართა, სადაც მას შესაფერი დახმარება აღმოუჩინეს. პოეტს უფრო ის აწუხებს, ექიმები მეცადინეობას მიკრძალავენ და მე-კი უმეცადინოთ ვერ გავძლებო.

ვლასა მგელაძე

⁂ **ქუთაისი.** ილია ჭავჭავაძის იუბილეის გამო. ქუთაისის საზოგადოება აპირობს ღირსეულად დახვდეს საყვარელის პოეტის თ. ი. ჭავჭავაძის ორმოცის წლის მოღვაწეობის დღესასწაულს. დიდი და პატარა განურჩევლად წოდებისა და მიმართულებისა აღტაცებით ეგებება ამ დღესასწაულს და ემზადება შესაფერად გადიხადოს იგი. აქ უკვე იყო კერძო კრება 11 მარტს გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლის თ. ს. გ. წერეთლის სახლში, სადაც დაესწრო თვითონ თ. ს. გ. წერეთელი, ქალაქის მოურავი ბ. ლოლუა, მაზრის მარშალი თ. დ. ო. ნიჟარაძე და ქუთაისის სხვა პატივცემულნი ქალნი და კაცნი. 11 მარტსვე ამ გვარი კრება მოხდა ბ. ა. ა. გარსევანიშვილის მოწოდებით საკუთარ სადგომზე, რომელსაც დაესწრნენ ქუთაისის ახალგაზდობა და აქაურის თეატრის არტისტები. ორსავე სხდომაზე 13 მარტს დაახლოვებით ამნაირი გეგმა შეადგინა დღესასწაულისა: 9 აპრილს, ალავერდის ეპისკოპოსის ბესარიონის მიერ პარაკლისი იქმნება გარდახდილი ქუთაისის საკათედრო ტაძრის ეზოში, რათა ამით მეტს საზოგადოებას მიეცეს საშუალება დაესწროს ამ დღესასწაულს; ამ გვარსავე პარაკლისს გადიხდიან ქუთაისის სხვა მღვდლებიც თავ-თავიანთ ეკკლესიებში და პარაკლისის წინ მოკლედ გააცნობენ მრევლს იუბილიარის მოღვაწეობას. პარაკლისის შემდეგ დილით გაიმართება ქალაქის თეატრში იუბილიარის თხზულებიდან შედგენილი უფასო წარმოდგენა ხალხისათვის. სცენაზე იქნება იუბილიარის დიდი ბიუსტი, რომლის მომზადება კომიტეტმა დაავალა ორს ახალგაზდა ნიჭიერ მხატვარს ბ.ბ. ნიკოლაძეს და პოდოლიკაშვილს. ამათ თავიანთ სასახელოდ, ბიუსტის მომზადება იკისრეს უფასოდ. წარმოდგენის დაწყებამდის წაკითხულ იქმნება მოკლე ბიოგრაფია იუბილიარისა, შემდეგ დაიდგმება ცოცხალი სურათები მისისავე თხზულებიდგან. ხორო ნაციონალურს ტანისამოსში იგალობებს საერო საგალობლებს. წაკითხულ იქმნება საუკეთესო ლექსები და პროზა იუბილიარის თხზულებიდან, ბოლოს აპოთეოზი. საღამოს ამავე თეატრში იქნება ფასიანი უფრო ვრცელი წარმოდგენა ინტელიგენციისათვის. თეატრი მორთული იქნება ყვავილებით და მწვანით.

ადრესის შედგენა იუბილიარის მისართმევად ქუთაისის საზოგადოების სახელით, დაევალა ბ. ა. თ. ნანეიშვილს. კომიტეტს იმედი აქვს, რომ ქუთაისიდან შემდეგი დეპუტაციები იქმნება გაგზავნილი იუბილიარის მისალოცავად: ქუთაისის თავად-აზნაურობისგან, ქალაქის საბჭოდან, სათავად აზნაურო და ურთიერთო ბანკებიდან, სააზნაურო სკოლიდან, ქუთაისის განათლებულ ქალებისა და კაცებისაგან, ქუთაისის თეატრის არტისტებისაგან, გაბრიელ ეპისკოპოსის წიგნთ-საცავის დამაარსებელთაგან, საკვირაო სკოლისაგან, ქუთ. წიგნების გამომცემელ ამხანაგობისაგან, ვაჭრებისაგან, ხელოსნებისაგან და სხ. გაიმართება ხელის მოწერა, რომლის შემოსავალი და აგრეთვე წარმოდგენის შემოსავალიც გაეგზავნება ტფილისის იუბილიარის სახელზე ქართულ მუზეუმის ასაგებლად.

⁂ **ერივანი.** ქალაქის არჩევნები. 17 მარტს აქ ხმოსნების არჩევანი იყო, თუმცა რიცხვი თათრებისა აქ ძალზე მეტია სომხობაზე, მაგრამ სამზე მეტი თათარი არ იქმნა ამორჩეული; 45 სომეხია და 4 რუსი. თუმცა, მართალია, არა ქრისტიანების რიცხვი $^1/_5$ მეტი არ უნდა იყოს ხმოსანთა შორის*), სომხებმა-კი მხოლოდ მესამედი ნაწილი ამოირჩიეს ამ კანონიერი რიცხვისა. თათრები ძლიერ გულ-ნატკენნი არიან, მაგრამ სომხებს ეს ფეხებზედაც არა ჰკიდიათ; „ჩვენ ვიყოთ და სხვა არავინო“—აი აწინდელი კულტუროსანთა პრინციპი.

ქართველი სომხებში

⁂ **ქართლი.** სამეურნეო ამხან. დეპოს ჭირნახული. სასიამოვნოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ გორის მაზრის მემამულეთა სამეურნეო ამხანაგობის დეპოში ამ ჟამად არის პური 6,000 ფუთი, ქერი 7,000 ფუთი, სიმინდი 2,000 ფუთი. თივა და ბზე იქნება 15 ვაგონი. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ სადგურ გომში პირდაპირ ამხანაგობის დეპოს, რომელიც დაუყოვნებლივ აღასრულებს ყოველს დავალებას. ეჭვი არ არის, ჩვენებური ვაჭრები ისარგებლებენ ამ გარემოებით. საზოგადოდ სამეურნეო ამხანაგობის დეპოს საქმე ამ უკანასკნელ ხანებში ჩინებულად მიდის.

ვინ-ბან-დონ

⁂ **ქ. ბაქო.** ქართული სამკითხველოს საქმე. რვა მარტს გახლდათ ბაქოელ ქართველების კრება მიხაილოვის სასწავლებელში წიგნთსაცავ-სამკითხველოს დაარსების შესახებ; მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ ჩვენი დაუდევრობა, ისტორიული სენი: ერთ-ურთის ქიშპობა, შური და შენჩემობა,—შვიდმა კაცმა ძლივს მოიყარა თავი და მათაც საქმის გამო ლაპარაკის მაგივრად დაიწყეს აბდა-უბდა არაფრისა და არავისათვის საჭირო ორატორობა.

ნათქვამია, თუ გული გულობს, ქადა ორის ხელით იჭმევაო. ჩვენ ადვილად ვიცით, რომ ბაქოში არის ფრიად მშვენიერი და მდიდარი რუსულ-სომხური წიგნთ-საცავ-სამკითხველო, სადაც ყველას შეუძლიან ისარგებლონ უსასყიდლოდ ან შესწირავს ერთს კაპეიკს. თვითეულმა ბაქოელ ქართველმა რომ თვეში ათი შაური ან მანეთი გადასდოს, იმდენი ფული შეგროვდება რომ, არამც თუ ქართული ჟურნალ-გაზეთები, არამედ რუსულიც კი ექნებათ წასაკითხათ და ნეტა როდის გადავლენ ჩვენებურ ლიტონი სიტყვებიდან საქმეზე!

კრებაზე, სხვათა შორის, დაესწრო მიხაილოვის სასწავლებლის მასწავლებელი ბ. ჩიკვაიძე, რომელმაცა სთქვა: რუსულ-სომხურის წიგნთ-საცავ-სამკითხველოს გამგე გვეუბნევა: მოიტანეთ ჩემთან თქვენი წიგნები, გამოიწერეთ ჟურნალ-გაზეთები, მე ვაწარმოვებ, შეგიდგენთ სტატისტიკასაც მკითხველებისას და მსურველებისას. ყველაფერს სიით და ხელწერილით ჩავიბარებ და თუ დაგიკარგოთ რამე, პასუხის-მგებელი ვარო; არ გაგივათ სახლის ქირა, სანათისა, სათბობისა, მოსამსახურისა, მცველისა და სხვა. ერთი სიტყვით არავითარი ხარჯი არ გექნებათ; გარდა წიგნების ყიდვისა და ჟურნალ-გაზეთების გამოსაწერის ფულისა. იყვეს ჩემთან ვიდრე თქვენი სურვილია და როდესაც გენებოთ ჩაიბარეთ უკლებლად ყოველივეო.

კარგს ინებებენ ბაქოელი ქართველები, დიდი და პატარა, მაღალი და დაბალი, რომ მორიგდებოდნენ და ყოველს საერთო სასარგებლო საქმეს ერთობილის ძალით განაგებდნენ; თორემ განცალცაკევება, ისედაც სუსტის ხალხისა, უბრალო ენის ქავილით ორატორობა ვერაფერი ხელ-საყრელია.

სტუმარი

⁂ **ჩოხატაური.** დაბის კეთილ-განწყობილება. ახალი დეპუტატების განკარგულებით, 5 მარტიდან დ. ჩოხატაური ისეა ღამ-ღამობით განათებული ფარნებით, რომ ნემსიც დაგვარდეთ' ადვილად იპოვით. საზოგადოთ-კი ძალიან სუფთად ინახავენ ბაზარს. მხოლოდ სამწუხარო ის არის, რომ დეპუტატებს ვერავითარ საქმეზე ხელს ვერ მოაწერინებთ, რადგან არც ერთმა მათგანმა წერა-კითხვა არ იცის.

ჩ. ვ.

⁂ **დ. ოჩამჩირე** (აფხაზეთი). შენობის დანგრევა. 14 მარტს, საღამოს 8 საათ., აქაურის ვაჭრის მეშედ მიდილ-ოღლის ქვის შენობის ერთი კედელი უეცრათ წაიქცა, დაეცა გვერდზედ მდგომ ხის შენობა და ჩაამტვრია. ამ ხის შენობაში ვაჭრობდნენ თათრები, რომელნიც რაღაც მანქანებით გადურჩნენ სიკვდილს.

სა—ნაია

⁂ **დ. ოჩამჩირე** (აფხაზეთი). სათაკილო ჯიბრიანობა. აქაური მცხოვრებნი და ვაჭრები არიან: მეგრელები, აფხაზები და თათრები. ოჩამჩირის ყოველი ავი და კარგი, რასაკვირველია, ამათ ეკითხებათ, მაგრამ ერთი მხარე რომ კარგს ფიქრობს, მეორე არ ყაბულობს, მესამე სხვა აზრისაა და მათ შორის მუდამ უთანხმოება და აზრთა სხვა და სხვაობაა. ყოველ საქმეში ერთი მხარე მსურველია, მეორე წინააღმდეგი და ამნაირი ჯიბრობით-კი ოჩამჩირე ცუდ მდგომარეობაშია. ამ ჯიბრობა დას-დასობას მოჰყვა რამდენიმე ცუდი შედეგები:

ჯოჯოხეთის კაცი

⁂ **სად. კასპი** (გორის მაზრა). წერილების დაგვიანება-დაკარგვის გამო. აქამომდე სადგურ კასპში მოსული წერილები თავის დროზე მოსდიოდათ პატრონებს, მაგრამ ეხლა-კი ზოგიერთი წერილები ან სრულებით იკარგება და ან ძრიელ გვიან მიდის დანიშნულს ადგილს; ხან კი მრავალი საჩქარო და ფრიად საჭირო წერილი სრულიად ვერ აღწევს მიზანს. ამის მიზეზი შემდეგია: თუ თითო წერილში სამი კაპიკი არ წარუდგინეთ, არ მოგცემენ, თუ გინდ ერთი თვე ეგდოს სადგურში. სამი კაპიკის მიცემა მაინცა და მაინც საძნელო არ არის, თუ გვეცოდინება წერილის მოსვლა, მაგრამ უბედურება ის არის, რომ წინასწარ არ ვიცით, როდის მოგვივა წერილი და როდის არა, რადგანაც ხშირად წერილის პატრონი ძალიან მოშორებულია.

ვასილიანთ გაბო

თეატრის მატიანე

ქართული წარმოდგენა. გუშინწინ ქართულს თეატრში ფრიად საინტერესო წარმოდგენა იყო გამართული. ჩვენი ნიჭიერი და საყვარელი არტისტი ვლ. ალექსი-მესხიშვილი პირველად გამოვიდა ამ სეზონში ახალ როლში. ამ გარემოებამ დიდძალი საზოგადოება შეჰკრიბა თეატრში. ვლ. ალექსი-მესხიშვილს გამოსვლისთანავე საზოგადოება ხანგრძლივის ტაშის კვრით და ვაშას ძახილით მიეგება.

არტისტი თამაშობდა გამოჩენილ არტისტის ედმონდ კინის როლს და უნდა გამოვტყდეთ, რომ ჩვენ იშვიათად გვინახავს ისეთი მოხდენილი, გრძნობით და გონებით აღბეჭდილი თამაშობა. ვლ. მესხიშვილმა განსაკუთრებით ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა მესამე და მეოთხე მოქმედების პირველ სურათში. საზოგადოება სულ-განაბული უსმენდა არტისტს ყოველსავე სიტყვას. დანარჩენი მოთამაშენი, ავალიშვილისა და გედევანოვის გარდა, სუსტები იყვნენ. ქ-ნ ავალიშვილისასაც საზოგადოება ტაშის-კვრით დაუხვდა და გამოსვლისთანავე თაიგული მიართვეს. წარმოდგენის გათავებისას ვლ. მესხიშვილს საზოგადოებამ და განსაკუთრებით ახალგაზდობამ მთელი „ოვაცია“ გაუმართა.

შემდეგი წარმოდგენა დანიშნულია 25 მარტს; წარმოდგენილი იქნება ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით „ურიელ აკოსტა“.

სამეცნიერო ცნობანი

ცნობები ჰაერში ფრენის შესახებ. ჩვენი დედამიწა, როგორც ყველას მოეხსენება, ჰაერში ტრიალებს. ეს სუმბუქი ნაწილი და თვალით უხილავი ნივთიერება, რომლის სარგებლობაც კაცობრიობას ქვეყნად გაჩენის დღიდგანვე შეუნიშნავს: იმითი სცოცხლობს, უიმისოდ ერთს წამსაც ვერ იბოგინებს, დედამიწას გარშემო არტყია სქლად და მხოლოდ რამდენისამე ათეულ ვერსის სიშორეზედ თხელდება იქამდის, რომ იქ ადამიანს სიცოცხლე აღარ შეუძლიან. მაშასადამე, ეს ერთი სარგებლობა ჰაერისა ყველასათვის ცხადია. მაგრამ ადამიანი მხოლოდ იმითი, რაც ბუნებას თავისით შეუქმნია, არა კმაყოფილდებოდა მუდამ სცდილობს რაც შეიძლება მეტს გამორჩეს ბუნებას; იგი ამ მხრივ გაუმაძღარია, მაგრამ გონიერობით ხელმძღვანელობს სხვა-და-სხვა მოსაზრების დროს თავისდა საჭიროების დასაკმაყოფილებლად. ადამიანის არსებობისათვის ჰაერი, წყალი და სითბო მიუცილებელი საჭიროებაა, ამბობდნენ უძველეს დროშივე მეცნიერნი და მართლაც ასეა. მაგრამ, როგორც უკვე ვთქვით, ადამიანი ბუნების ძღვენს არა სჯერდება, მუდამ ჩხირკედელაობს, ფიქრობს და ჰსაზრობს, თუ ეს ძღვენი როგორ გამოიყენოს უფრო მეტის სარგებლობით, როგორ შეიმსუბუქოს ცხოვრების მძიმე ტვირთი.

წყალი, რომელშიც ამ ბოლოს დროს უზარმაზარის სიმძიმის გემები თავისუფლად ვლიან, ვინ იცის ხმელეთის რომელ ნაპირიდგან სადამდის, ჯერ ისევ ქრისტეს დაბადებამდის დაიმორჩილა ადამიანმა და დღეს ხომ თითქმის ხმელად გარდაქმნა. ასრევე მოეპყრო იგი სითბოს, რომელზედაც დამყარებულია ელექტრონის ძალა და რომლითაც უთვალავი საოცარის ძალის მანქანები ამოძრავა ადამიანის გამჭრიახმა გონებამ. წყალსაც და სითბოსაც ჯერ კიდევ მომავალი წინ აქვს, ჯერ კიდევ მრავალგვარად გამოიყენებს მათ ადამიანი. დარჩა მხოლოდ ჰაერი; მაგრამ ადამიანის მოხერხებას ვერც ის წაუვა სადმე, იგიც დაიმორჩილებს ამ დედამიწის ზურგის სასაცილო ორ-ფეხს და მორჩილებით თავს დაუკრავს: მეც შენდა სამსახურად მზად გახლავარო.

ამ ბოლოს დროს განათლებულ დასავლეთისა და ამერიკის მეცნიერნი ერთთავად იმის ცდაში არიან, რომ ადამიანს ჰაერშიც ფეხი მოაკიდებინონ და მისს დედამიწის ტალახიან ნიადაგზედ მოგზაურობის ნაცვლად, რომლის უხერხულობაც სხვებზედ მეტად, გგონებ, ჩვენებურებს უნდა ჰქონდეთ ნაწვნევი და ნაცადი, ჰაერით ამოგზაურონ. იგონებენ სხვა-და-სხვა გვარს ჰაერში საფრენ მანქანებს და დრო გამოშვებით ქვეყნიერებას აცნობებენ, აი, მე ეს გამოვიგონე, მე ესაო. თითქმის თითოეული მათგანი საოცარია, დაუჯერებელი. ჯერ-ჯერობით ყველა ეჭვით ეპყრობა, მაგრამ რას იზამს ეჭვი აქ, სადაც-კი ადამიანის მძლავრი გონება ფრთას გაშლის.

---

*) ჩვენ გვგონია, რომ ეს კანონიცა კმაროდა.

ზოგიერთს ამ ბოლოს დროს გამოგონებულ ჰაერში საფრენ მანქანათაგანს ცოტა ქვევით გავაცნობთ მკითხველს; ახლა-კი მასთან ერთად თვალს მიმოვავლებთ უძველეს დროს და აღვნიშნავთ, თუ ადამიანს ამ მხრივ რა უკეთებია, ცდილა თუ არა, რომ ჰაერითაც ისრევე ესარგებლნა, როგორც წყლით სარგებლობდა.

თურმე ნუ იტყვით, ეს დედამიწის სასაცილოდ ორ-ფეხა სულიერი მუდამ ცელქი და მოუსვენარი ყოფილა! უძველეს დროიდგან დარჩენილი ბერძნული ლეგენდა მოგვითხრობს, რომ ვინმე მხატვარს დედალოსს, რომელსაც თურმე კუნძულ კრიტოსის მეფე მინოსი სდევნიდა, თავისთვის და თავისის შვილისათვის ფრთები გაუკეთებია და კუნძულიდგან გაფრენილა. მართალია, ლეგენდა ხალხის ფანტაზიით მუდამ გაზვიადებულია, მაგრამ ეჭვი არ არის, მას ხალხი თავსით ვერ შეჰქმნიდა, თუ რომ რამე ნამდვილი საბუთიც არა ჰქონოდა. იმავე ბერძენ-რომაელთა განათლების დროიდგან კიდევ სხვა ცნობებიც არის დარჩენილი: მაგალითად, ამბობენ რომ მეოთხე საუკუნეში ქრისტეს დაბადებამდის ფილოსოფოსს—არტისტს ხის მფრინავი მტრედი გაუკეთებია, ეჭვი არ არის, იმის საცდელად შეუძლიან თუ არა მძიმე საგანს ჰაერში ფრენა. ქრისტ. დაბად. 66 წელს ვარსკვლავთ მრიცხველს სვიმონს რაღაცა საშუალებით ფრენა შეუსწავლია და ერთი სახლიდან მეორემდის ადვილად თურმე ფრინავდა, მაგრამ ბუნებას სასაცილოდ აუგდია და ერთხელ ამგვარ ცელქობის დროს ფეხები მიუმტვრევია. ამ მაგალითს, ალბად სიძნელის გამო, ადამიანი მაინც ვერ მოუტეხია და მე 11 საუკუნეში ვიღაც სარაცინელსაც იგივე დაჰმართნია, რომელიც თურმე მეწნის ფრთებით დაფრინავდა.

შემდეგ, მე XV საუკუნიდგან აი, ჰაერში ფრენის საგანს მეცნიერებმაც ყურადღება მიაქციეს. სხვათა შორის, ამ საგნის შესახებ ფიქრობდნენ ცნობილნი როჯერ ბეკონი და ლეონარდ-დე-ვინჩი ამავე დროს არა მეცნიერნიც თავს არ ანებებდნენ და ზოგიერთს მათგანს გასასაცილოებამდის მიჰყავდა ეს ფრიად ძნელი და რთული საგანი. ვიღაც გოლდუინმა ბატების საშუალებით თურმე მოისურვა ჰაერში სეირნობა; ჯერ კარგა ლამაზად გაწვრთნა, მერე ერთს მშვენიერს დღეს რამდენიმე ასი ბატი შეუბა ეტლს, შიგ ჩაბრძანდა და... გგონია, ეგ არის გამაფრენენო, მაგრამ, თქვენმა მზემ ბატებმა ყურიც არ გაიბერტყეს: ალბად ვერ მიუხვდნენ, პატრონი რისთვის აწუხებდა! მეორემ უფრო ჭკვას ახლო საშუალება სცადა, მაგრამ ვერ გამოიანგარიშა, რამოდენი ძალა დასჭირდებოდა ამას. ამ აჰერში ფრენის მოტრფიალეს სახელად სირანო-დე-ბერჟერაკი ერქვა. სირანომ, პატონო, რკინის კალათი გაიკეთა, ჩაიწყო შიგ რამდენიმე გამაგნიტებული ლითონის ბურთი და გასაფრენად მოემზადა. მერე, როგორ უნდა გაფრენილიყო, იკითხამთ განა? როგორ და აი, რა მოსაზრება ჰქონდა: მოგეხსენებათ, მაგნიტი რკინას იზიდავს; ავიღებ, ბურთს შევისვრი, ბურთი კალათს მიიზიდავს; ვიდრე ერთი ბურთი ჩამოვარდებოდეს, მეორეს შევისვრი, ისიც იმავ რიგად მიიზიდავს და მე სულ ნელ-ნელა, კიბე-კიბედ ჰაერში შევცურავ, ვიდრე მაღლა ყოფნა არ მომწყინდებაო. მაგრამ.. სამწუხაროდ, ვერ იფიქრა, რამდენად დიდი უნდა ყოფილიყო ეს ბურთი. რომ მისი საგანცხრომი კალათი თავისის გამეცნიერებულის გვამით მაღლა ეზიდნა, ან თითონ მას რა ზღაპრული ძალა უნდა ჰქონოდა, რომ ამ გვარად გაეფრინა! რასაკვირველია, ჩვენმა მეცნიერებმა ხმაც ჩუმიც ვერა ქნა. გული დასწყდა, მაგრამ რას იზამდა?..

Wano

* * *

გამოსადეგი ცნობა

ერბოს გადადნობა. ვისაც ჰსურს კარგი ერბო იქონიოს, ასე უნდა გადადნოს. გადასადნობი ერბო მოაქციეთ რომელსამე ცალკე ჭურჭელში და აგრე ჭურჭლით ჩასდგით ქვაბში, რომელშიაც მალიან ადუღებული წყალი უნდა იყოს. ადუღებულის წყლისაგან გადნება ერბო ჭურჭელში და რაც ერბოს უვარგისი რამე აქვს, ძირს დაილექავს და წმინდა და ანკარა გამდნარი ერბოს ზემოდ მოიგდებს. ეს ზემოდ მოგდებული ერბო ფრთხილად გადაიღეთ ქილაში, პირი მაგრად და კარგად დაუცეთ და მოუვარით. ესე გადამდნარი ერბო გემოთიც, სუნითაც და ფერითაც უფრო კარგია და კარგად ინახება, თურმე, ვიდრე პირდაპირ ქვაბში გადამდნარი.

სამეურნეო ცნობანი

ქათმის სისუნთქის ანთება. სასუნთქის ანთება გაცივებისაგან ჩნდება. ამის ნიშნებია: ხველება, მძიმე სუნთქვა და ხრიტინი. ამისათვის საჭიროა შაქრის წყალში გაურიოთ მცირეოდენი აზოტი და გოგირდის სიმჟავე. ეს საშუალება ძლიერ მალე უქრობს ანთებას. მაგ. ციურნა ურჩევს 50 გრამს წყალში გაურიონ ½ გრამი ნიშადური, 5 გრამი თაფლი და სტოლის კოვზით ასვან დღეში 3–4 ჯერ. ამის გარდა ავათმყოფს ქათამს უნდა შეასუნთქებინონ ფისის ორთქლი ამ ნაირად: აიღეთ ერთი წილი ფისი, 50 წილი ცხელი წყალი, ჩაასხით ბოთლში და შეუშვირეთ პირში. სასუნთქის ანთება ხშირად ფილტვების ანთება გადადის. ამის ნიშნებია: სტვენით სუნთქვა, გადებული პირი, მოწყენილი სახე, ცუდი განავალი (სკინტლი), მტანჯავი ხველა და ყომრალი ნახველი. დასაღევად აძლევენ: გაწმენდილს გვარჯილას ბატს 0,75 გრამს, 0,4 ქათამს, და 0,06—0,12 გრ. მტრედსა. ამის გარდა ზემო ნაჩვენები საშუალებაც კარგა შველის ავათმყოფებს.

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის გამგეობა

აუწყებს ყველას, რომ 16 მარტიდგან დაარსებულ იქმნა ქალაქის ფარდულები, რომლებშიაც მიღებულ იქმნებიან ყვავილით ავადმყოფი ბავშვები 14 წლამდე და დედაკაცები. შეუძლებელთ უსასყიდლოდ მიიღებენ. ბავშვებთან ერთად დედებსაც მიიღებენ. ფარდულები მოთავსებულია ავლაბარში, სამების უნის ზემოდ. (3—3)

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს საყოველთაო საცნობლად, რომ 24 მარტს, ნაშუადღევის 1 საათზედ გამგეობის დარბაზში **საჯარო ვაჭრობა** დანიშნული. იჯარით გაიცემა ქალაქის დუქნები და სარდაფები, რომლებიც ერეკლეს მოედანზეა.

დაწვრილებით პირობების შეტყობა შეიძლება ქალაქის გამგეობაში მუდამ დღე, უქმე დღეებს გარდა, დღის 12 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (3—2)

ქართველთა ამხანაგობის გამოცემანი

(ისყიდება საკუთარ კიოსკში, ქაშვეთის ეკლესიის პირდაპირ, ბაღის კუნჭულში)

თხზულებანი ა. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძისა) ავტორის სურათით და იგივე მე-IV ტომი მშვენიერს ქაღალდზე და მშვენიერისავე ყდით (თითო) . .	2—50
თხზულებანი ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი	„—80
იგივე მშვენიერის ყდით . .	1—25
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა, ლეგენდა-პოემა ბაჩანასი	„—15
ხალხური ზღაპრები I ნაწილი	„—30
იგივე კარგს ქაღალდზე, მშვენიერი ყდით	2—50
იგივე ტომი III	1—„
იგივე ტომი IV, იზა, ორი წიგნი	1—60
იგივე კარგს ქაღალდზე მშვენიერი ყდით	3—„
ჩანგი	1—
სოფლის კუნწულა, . . დ. მაჩხანელისა	„—20
თხზულებანი აკაკისა, ტომი I	1—„
იგივე კარგს ქაღალდზე მშვენიერი ყდით	2—50
იგივე ტომი II	1—„
იგივე კარგს ქაღალდზე მშვენიერი ყდით	2—50
არაკები, საბა ორბელიანისა, ბავშვებისთვის	„—25
სიბრძნე-სიცრუე, მისივე .	„—75
იგივე კარგს ქაღალდზე . .	1—50
სამზარეულო ქართული ევროპიული საჭმელებისა . . .	1—50
თხზულებანი რ. ერისთავისა, ტომი I, სურათით . . .	1—„
იგავ არაკნი, მისივე . . .	„—20
ღვინის დაყენება, პროფესორის გ. პეტრიაშვილისა . . .	2—50
ალა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ქ. ტფილისში თ. ა. კახ.-ძე ორბელიანისა	„—25
საქართველო და მისი ისტორიული წარსული დრო, კ. პოტოცკისა	„—40
მეფე დავით აღმაშენებელი და მისი დრო, ისტორიული მონოგრაფია ნ. ურბნელისა	„—40
აივენგო, რომანი ვალტერ სკოტისა	1—„
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი გ. სენკევიჩისა . . .	1—60
დასტურ-ლამა, თხზულება ნიკოლოზ დადიანისა . . .	„—20
გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა, სურათით . , . . .	—50
სიბრძნე ბალავარისა . . .	3—30

(100—68)

XI-й годъ изданія „**СѢВЕРЪ**“ XI-й годъ изданія

Еженедѣльный Иллюстрированный Литературно-Художественный журналъ, выходящій подъ редакціей **А. А. Корифскаго.**

Въ литературномъ отдѣлѣ журнала будутъ печататься произведенія М. Н. Альбова, А. В. Амфитеатрова, С. А. Андреевскаго, К. Д. Бальмонта, К. С. Заранцевича, А. Н. Будищева, И. А. Бунина, П. В. Быкова, Л. Б. Вейцбера, В. Л. Величко, гр. А. А. Голенищева-Кутузова, П. Г. Ганзена, И. А. вГфштеттера, П. И. Добротворскаго, С. Д. Дрожжина, Я. Е Егорова, А. Ехарина, А. П. Коптяева, А. В. Круглова, Ал. А. Кускова, В. П. Лебедева, гл С. Лихачова, М. А. Лохвицкой, А. А. Луговаго, К. А. и С. В. Максимова, Д. Н. Мамина-Сибиряка, Л. М. Медвѣдева, Н. М. Минскаго, Д. Л. Мифаловскаго, В. М. Михеева, проф. Н. А. Орлова, Н. А. Панова, П. Ѳ. Порѳирова, И. Н. Потапенки, М. И. Пыляева, гр. Е. А. Саліаса, В. Я. Свѣтлова, К. К. Случевскаго, Н. А. Соловьева-Несмѣлова, Ѳ. К. Сологуба, проф. Н. В. Сорокина, Вл. А, Тихонова, Л. Н. Трефолева, С. С. Трубачева, кн. Ѳ. Э. Ухтомскаго, К. М. Фофанова, Ѳ. В. Чернигова, Ант. П. Чехова, О. Н. Чюминой, И. Л. Щеглова и другихъ писателей.

Въ 1898 г. подписчики журнала „Сѣверъ“ получатъ:

52 №№ иллюстриров. журнала, изъ которыхъ съ **цвѣтными** рисун. извѣстныхъ русскихъ и иностранныхъ художниковъ 12 №№

52 №№ еженедѣльной газеты „**СѢВЕРЪ**“ (въ форматѣ газетнаго листа убористой печати).

12 томовъ „**БИБЛІОТЕКИ СѢВЕРА**“, каждый томъ—объемомъ отъ 160 до 240 страницъ плотнаго шрифта, въ которыхъ будетъ дано *собраніе новѣйшихъ романовъ*

ГЕНРИКА СЕНКЕВИЧА:

1) «БЕЗЪ ДОГМАТА», 2) «СЕМЬЯ ПОЛАНЕЦКИХЪ», 3) „QUO VADIS?“ („Камо грядеши?“), 4) «КРЕСТОНОСЦЫ». Этими романами знаменитый писатель создалъ себѣ во всемірной литературѣ громкое имя.

Въ отдѣльной продажѣ эти романы будутъ стоить около 10 руб.

12 №№ ежемѣсячнаго журнала „**Парижскія моды**“ со множествомъ рисунковъ, выходящихъ одновременно съ однимъ изъ лучшихъ **Парижскихъ модныхъ журн**

12 №№ выкроекъ, узоровъ вышиваній дамскихъ рукодѣл., монограммъ, съ пояснительнымъ текстомъ, на отдѣльныхъ большихъ листахъ.

12 №№ ежемѣсячнаго журнала „**Хозяйство и домоводство**“, въ которомъ даются совѣты и указанія, необходимыя для хозяйства и домашняго обихода. Кромѣ всего этого, годовые подписчики „Сѣвера“ получатъ **безплатно роскошный художественный альбомъ.**

48 иллюстрацій къ полному собранію сочиненій

ИВ. СЕРГ. ТУРГЕНЕВА.

Къ альбому будутъ приложены. 1) портретъ Тургенева, 2) вступительная статья объ И. С. Тургеневѣ и 3) пояснительный текстъ къ иллюстраціямъ. Литературно-художественная цѣнность этой главной на 1898 г. преміи журнала «Сѣверъ», выпустившаго уже свои художественные альбомы къ произведеніямъ Н. В. Гоголя, Н. А. Некрасова и гр. Льва Н. Тольстого, находится внѣ всякаго сомнѣнія.

Подписная цѣна со всѣми приложеніями:

6 РУБ. на годъ безъ доставки въ С.-Петербургѣ. **7** Р. съ дост. и перес. во всѣ гор. Россіи. Заграницу на годъ 11 р.

На 6 мѣсяцевъ въ доставкой а пересылкой 3 р. 50 к.
„ 3 „ „ „ „ „ 1 р. 75 к.
„ 1 „ „ „ „ „ — „ 60 к.

Подписка адресуется въ Глав. конт. журн. „Сѣверъ“ (Спб., Екатерининская, 4) на имя издателя **Н. Ѳ. Мертца.** Безплатныя библіотеки и читальни, народныя и церковно-приходскія школы и училища, городскіе и сельскіе учителя и учительницы, сельскіе священники, дьяконы и церковно-служителя, служащіе въ земскихъ и частныхъ аптекахъ фармацевты и волостныя правленія пользуются исключительнымъ правомъ получать журналъ. «Сѣверъ», со всѣми къ нему приложеніями и преміями, на особо-льготныхъ условіяхъ, а именно: за 5 руб. съ доставкой и пересылкой. Подписка на льготные экземпляры принимается исключительно въ Главной конторѣ журнала „Сѣверъ“ (Спб. Екатерининск., 4) и не иначе, какъ на годичный срокъ, безъ права передачи другимъ лицамъ или учрежденіямъ. (10—5)

Ежемѣсячный, научно-иллюстрированный, литературный и практическій

ПОДЪ НОВОЙ РЕДАКЦІЕЙ и при новомъ составѣ сотрудниковъ.

„*Журналъ для всѣхъ*“

ОДИНЪ РУБЛЬ ВЪ ГОДЪ.

Выходитъ разъ въ мѣсяцъ въ объемѣ не менѣе 2 печатныхъ листовъ плотнаго, убористаго шрифта въ 2 столбца.

Въ журналѣ помѣщается: Обзоръ важнѣйшихъ событій изъ русской и иностранной жизни. Повѣсти, разсказы и стихотворенія выдающихся русскихъ и иностранныхъ писателей. Очерки изъ исторіи Церкви и извлеченія изъ твореній Отцовъ Церкви. Историческіе очерки и біографіи современныхъ и историческихъ общественныхъ дѣятелей русскихъ и иностранныхъ. Популярные очерки изъ міра наукъ по различнымъ отраслямъ естествознанія, а также свѣдѣнія о различныхъ научныхъ открытіяхъ и изобрѣтеніяхъ, имѣющихъ значеніе въ народномъ хозяйствѣ и обыденной практикѣ. Статьи, всесторонне знакомящія читателей съ жизнью народовъ, населяющихъ Россію и другія страны. Краткія практическія свѣдѣнія по полеводству, огородничеству, садоводству, скотоводству, птицеводству, пчеловодству, домоводству—примѣнительно къ мелкому землевладѣнію. Статьи по домашней медицинѣ и гигіенѣ, составленіе которыхъ, равно какъ и разборъ популярно-научныхъ книгъ по этимъ отраслямъ знанія, поручены профессорамъ университета и докторамъ медицины Библіографія, гдѣ будетъ помѣщаться обзоръ популярныхъ и народныхъ изданій, выходящихъ въ теченіе года. Переписка съ читателями.

Кромѣ различныхъ рисунковъ къ тексту и портретовъ, въ каждомъ № будутъ помѣщаться снимки съ лучшихъ картинъ русскихъ и иностранныхъ художниковъ.

Желая сдѣлать „Журналъ для всѣхъ“ общедоступнымъ, мы назначили на него самую умѣренную цѣну:

ОДИНЪ РУБЛЬ въ годъ съ доставкой и пересылкой.

Подписка принимается въ редакціи „Журнала для всѣхъ“: С.-Петербургъ, Ковенскій пер., д. № 31.

Оставшіеся годовые экземпляры журнала за 1896 и 1897 гг. высылаются одинъ рубль или наложеннымъ платежемъ за 1 р. 25 к. каждый загодъ

(10—10) Издатель П. В. Голяховскій.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 21-го Марта, 1898 г.
სტამბა ექ. ი. ხელაძის, ლორის-მელიქოვის ქ. № 28.
რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია.